საქართველო **TV** მარნეული
Georgia **Marneuli**

შპს „მარნეული-ტვ" ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №3 T: (0357) 221592 „Marneuli-TV" LTD.
martv@inbox.ru martv2006@gmail. com www.marneulitv.ge

№30 "26" აპრილი 2019წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას

შპს „მარნეული ტვ"–ს 2018 წლის ანგარიში

გაცნობებთ, რომ სამაუწყებლოკომპანია ,,მარნეული ტვ" საქმიანობას ეწევა, როგორც ავტორიზებული პირი ავტორიზაციის ნომერი BR-1018 ავტორიზაციის თარიღი 24/01/2013წ
მაუწყებლობის ავტორიზაციის მონაცემებია :
B.1 ტელემაუწყებლობა
საერთო ტელემაუწყებლობა

ჩვენი კომპანია საქმიანობას ახორციელებს ლიცენზიისა და ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. ვმაუწყებლობდით და ვაგრძელებთ მაუწყებლობას ინტერნეტით -myvideo.ge -ს მეშვეობით. მთელი წლე განმავლობაში ვმაუწყებლობდითთ ს/ს ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის ღია ციფრული მუქსის მეშვეობით მარნეულში. ასევე შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად საქართველოს ქალაქების სხვადასხვა საკაბელო მაუწყებლების ქსელებით. 2014 წლის აპრილიდან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ვმაუწყებლობთ „გლობალ TV „ ქსელით . ვართ ჩართულები „მაგთის „ და „სიჯის-ის" სატელევიზიო ქსელებში. 2018 წლის აპრილიდან სააქციო საზოგადოება აზერკოსმოსთან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ვმაუწყებლობთ ღია სარტელიტზე „აზერსპეის 1" . საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარედგინა კანონით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

შესაბამისობის დეკლარაცია გამოქვეყნებულია ვებ. გვერდზე WWW.MARNEULITV.GE „მარნეული ტვ" დღეღამის განმავლობაში მინიმუმ 17 საათს მაუწყებლობს. ჩვენი ტელეეთერი შესდგება შემდეგი პროგრამებისა და გადაცემებისაგან : ყოველდღიური „ახალი ამბები" კვირის გარდა, რომელიც გადის ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. საკუთარი კონტენტი შეიცავს აგრეთვე თოქშოუს " ჩვენი საქმე" ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე წარმატებით ვახორციელბთ სხვადასხვა საგრანტო პროექტებს. პროგრამის სრული ბადე ყოველკვირეულად იგზავნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში . საინფორმაციო პროგრამების მომზადებისას მაქსიმალურად ვცდილობთ აუდიტორიას მივაწოდოთ მრავალფეროვანი და დაბალანსებული ინფორმაცია. მაქსიმალურად ვიცავთ საკანომდებლო და სალიცენზიო პირობებს. თვითრეგულირების მიმართულებით „მარნეული ტვ" -ში მუშაობს დავებისა და განხილვების ორგანო,რომლის შემადგენლობაშიც ცვლილებები არ მომხდარა . გაერთიანებული სააპელაციო საბჭოს დელეგირებული უფლება გადაცემული აქვს საერთო კრების საფუძველზე „მედია კანცელ ჯე-ს", რომელიც შესაბამისად დებულების საფუძველზე უზრუნველყოფს გამჭვირვალეობასაც. 2018 წლის განმავლობაში საჩივარი არ შემოსულა.

პატივისცემით:

შპს „მარნეული ტვ" –ს დირექტორი : *შალვა შუბლაძე*

საქართველო, შპს "მარნეული ტვ" * GEORGIA. "MARNEULI TV" LTD * 234230178